

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ეკოლოგიური პრობლემების ასპექტები

თეონა ცვარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიებში
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

(მიმართულება - გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)

თბილისი 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ცვარიანი

21.06.2017

აბსტრაქტი

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთეს დასაწყისში პოლიტიკური და სოციალური ეკონომიკური პრობლემების შედეგად გამწვავებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ეკოლოგიური პრობლემები (სანაპიროების წარცხვა, ანთროპოგენური ნარჩენების პრობლემა, სანაპირო ზოლში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების არსებობა) ეს პრობლემა მეტად აქტუალურია მზარდი საზღვაო ტურისტული პოტენციალის ფონზე.

ზღვის დაბინძურების წყაროების კვლევის დროს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას. კვლევის მიზანია დადგინდეს საქართველოს სანაპიროზე (მდ. ენგურის შესართავიდან სოფ. სარფამდე) ძირითადი ეკოლოგიური პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების დადგენა.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზრდასთან ერთად მატულობს გარემოს დაბინძურების რისკი. ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ზღვაში შემავალ მდინარეებს თან მოაქვთ დიდი რაოდენობით ბიოგენური ნივთიერებები, სხვადასხვა სახეობის ორგანული დამაბინძურებლები (ნავთობი და მისი პროდუქტები, პესტიციდები, ფენოლები, ფისები და ა.შ.). საზღვაო-სატრანსპორტო მიმოსვლის ზრდა ზღვის გარემოს დაბინძურების კიდევ ერთი ფაქტორია. ოკეანესთან შავი ზღვის წყლის შეზღუდული მიმოცვლა ხელს უშლის ზღვის გარემოში მოხვედრილი დამაბინძურებლების გატანას, რის შედეგადაც ძლიერდება აკუმულაციური პროცესები. აქედან გამომდინარე, შავი ზღვა ძლიერი ანთროპოგენული დატვირთვის ქვეშ იმყოფება. რეგიონის ქვეყნებისათვის გარემოსდაცვით საკითხებს შორის ზღვის ეკოლოგიური პრობლემების კვლევა ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, რასაც მოწმობს შავი ზღვის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომელთა წევრი საქართველოც არის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანთროპოგენური ფაქტორი, ეკოლოგიური პრობლემები, აბრაზია, ურბანიზმი.

Abstract

In the late twentieth and early twenty-first centuries the political and social economic problems caused the aggravation of ecology problems in the Georgian Black Sea coastal zone (washing out of the beaches, anthropogenic waste problems, existence of different facility structures on the coastline), this problem is very relevant for the growing marine tourism potential in the background.

During the study of the sea pollution sources, the most important is the study of the ecological condition of the rivers flowing into the sea. The aim of the study of the Georgia coast (at estuary of the River Enguri up to the village of Sarpi) is to determine the main ecological problems and identify solutions for them.

Economic and transport infrastructure growth increases risks of environmental pollution in the Black Sea Area countries. The most crucial ecological problem lies in the fact that the rivers flowing into the sea are bringing large amounts of biogenic substances, a variety of organic pollutants (petroleum and its products, pesticides, phenols, resins, etc.). Maritime-transport traffic growth is another factor for the sea pollution. Limited exchange of ocean waters in the Black Sea water prevents the sea environment from the removal of the pollutants, resulting in a stronger accumulative processes. Therefore, the Black Sea is under the strong anthropogenic load. The Black Sea Area countries consider study of ecological problems as the first priority, which is evidenced by the Black Sea protection related international conventions and agreements, to which Georgia is a member.

Key words: anthropogen factors, ecology problems, abrasion, urbanism,